ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-012510022
თარიღი: 10/04/2025

მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204523239
ადრესატი: შპს შეიდან ჯგუფი

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში ბაშბის რიგი N7, შვიად გამსახურდიას სანაპირო N6-ში (ს/კ 01.18.03.046.002), შენობის ფასადზე შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მოწყობილია საწრდილობლები.

საქართველოს კანონი „ხივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 112-ე მუხლის შენიშვნის 1-ლი ნაწილის თანახმად: „თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მშენებლობის განხორციელების ან კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების/რეაბილიტაციის განხორციელების შემთხვევაში გავიდა მშენებლობის ნებართვის/კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების/რეაბილიტაციის ნებართვის მოქმედების ვადა და მშენებლობა/რეაბილიტაცია დამთავრებული არ არის ან/და დარღვეულია სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნები ან განხორციელებულია უნებართვო მშენებლობა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე დამრღვევს განუსაზღვრავს 90-დღიან ვადას სათანადო თანხმობის/ნებართვის მისაღებად ან ამ დარღვევის გამოსასწორებლად. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით, თუ დამრღვევმა ამ ვადის განმავლობაში მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინა შესაბამისი განცხადება და აღნიშნულ ორგანოს გადაწყვეტილება არ მიუღია."

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, გეძლევათ 90-დღიანი ვადა სამშენებლო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. გაცნობებთ, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, სამსახურის მიერ განხორციელდება ობიექტის ადგილზე გადამოწმება და სამშენებლო სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პატივისცემით,



ზურაბ მამსიკაშვილი

მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსის
მოადგილე